

შპს “დიკა 2010” (ს/კ 406027981)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2021 წლის ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

შპს “დიკა 2010” (ს/კ 406027981)

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საქმიანობის შედეგები

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები
4. სავაჭრო მოთხოვნები
5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
6. მარაგები
7. სხვა მიმდინარე აქტივები/გადასახადები
8. არამატერიალური აქტივები
9. ძირითადი საშუალებები
10. სავაჭრო ვალდებულებები
11. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები
12. ფინანსური ვალდებულებები
13. სხვა ვალდებულებები
14. კაპიტალი
15. ამონაგების აღიარება
16. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
17. საოპერაციო იჯარა
18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
19. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

შპს "დიკა 2010" (ს/კ 406027981)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N1-ფინანსური მდგომარეობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	88,738	63,483
სავაჭრო მოთხოვნები	4	75,828	57,965
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5	244,410	179,788
მარაგები	6	1,389,874	48,732
- მზა პროდუქცია			
- სხვა		1,389,874	48,732
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	7	89,421	1,724
ბიოლოგიური აქტივები		-	-
- თვითღირებულების მოდელით		-	-
- გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	8	300	375
ძირითადი საშუალებები	9	810,810	1,693,771
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		2,699,381	2,045,838

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	10	575,363	154,096
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	11	-	165,595
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	145,288
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	12	1,149,818	195,916
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები	13	929,513	340,343
სულ ვალდებულებები		2,654,695	1,001,237
საკუთარი კაპიტალი			
14			
კაპიტალი		-	-
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		44,687	1,044,601
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		44,687	1,044,601
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,699,381	2,045,839

205981

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "დიკა 2010"-ს სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს

ნათია ხუციშვილი
 ნათია ხუციშვილი
 შპს "დიკა 2010"-ს დირექტორი



თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების განყოფილებას

შპს "დიკა 2010" (ს/კ 406027981)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021 წ.	2020 წ.
ნეტო ამონაგები		3,079,447	7,049,454
საქონლის გაყიდვიდან	15	-	38,426
მომსახურების გაწევიდან		3,079,447	7,011,028
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	
სხვა		-	
		-	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,041,342)	(5,262,438)
საერთო მოგება		1,038,105	1,787,016
სხვა შემოსავალი		6,770	6,667
დასაქმებულთა ანაზღაურება	16	(1,119,971)	(1,492,121)
ცვეთა და ამორტიზაცია		(502,844)	(692,600)
საპროცენტო შემოსავალი		-	
საპროცენტო ხარჯი	12	(82,422)	(46,986)
იჯარის ხარჯი	17	(958)	(21,042)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	18	(335,934)	(286,608)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,035,359)	(2,532,690)

საოპერაციო მოგება		(997,254)	(745,675)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები	4		(53,042)
მარაგები		-	
სხვა არაფინანსური აქტივები		-	
		-	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(2,660)	
მიღებული დივიდენდები		-	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(999,914)	(798,717)
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		(999,914)	(798,717)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	14	(999,914)	(798,717)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,044,601	1,843,318
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(999,914)	(798,717)

კაპიტალის სხვა ცვლილებები
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

44,687

1,044,601

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "დიკა 2010"-ს სახელით 2022 წლის 30
სექტემბერს

ნ. ბეგეცოიძე
ნათია ხუდელიძე
შპს "დიკა 2010"-ს დირექტორი



თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "დიკა 2010" (ს/კ 406027981)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021წ.	31.12.2020წ.
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	88,738	63,483
სავაჭრო მოთხოვნები	4	75,828	57,965
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5	244,410	179,788
მარაგები	6	1,389,874	48,732
- მზა პროდუქცია			
- სხვა		1,389,874	48,732
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	7	89,421	1,724
ბიოლოგიური აქტივები		-	-
- თვითღირებულების მოდელით		-	
- გადაფასების მოდელით		-	
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	8	300	375
ძირითადი საშუალებები	9	810,810	1,693,771
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		2,699,381	2,045,838
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	10	575,363	154,096
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	11	-	165,595
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	145,288

გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	12	1,149,818	195,916
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები	13	929,513	340,343
სულ ვალდებულებები		2,654,695	1,001,237
საკუთარი კაპიტალი	14		
კაპიტალი		-	-
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		44,687	1,044,601
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		44,687	1,044,601
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,699,381	2,045,839

გამოსამუშავებელი დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "დიკა 2010"-ს სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს

.....
ნათია ხვედელიძე

შპს "დიკა 2010"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "დიკა 2010" (ს/კ 406027981)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021წ.	2020წ.
ნეტო ამონაგები		3,079,447	7,049,454
საქონლის გაყიდვიდან	15	-	38,426
მომსახურების გაწევიდან		3,079,447	7,011,028
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	
სხვა		-	
		-	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,041,342)	(5,262,438)
საერთო მოგება		1,038,105	1,787,016
სხვა შემოსავალი		6,770	6,667
დასაქმებულთა ანაზღაურება	16	(1,119,971)	(1,492,121)
ცვეთა და ამორტიზაცია		(502,844)	(692,600)
საპროცენტო შემოსავალი		-	
საპროცენტო ხარჯი	12	(82,422)	(46,986)
იჯარის ხარჯი	17	(958)	(21,042)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	18	(335,934)	(286,608)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,035,359)	(2,532,690)
საოპერაციო მოგება		(997,254)	(745,675)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები	4		(53,042)
მარაგები		-	
სხვა არაფინანსური აქტივები		-	
		-	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(2,660)	

მიღებული დივიდენდები		-	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(999,914)	(798,717)
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		(999,914)	(798,717)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	14	(999,914)	(798,717)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,044,601	1,843,318
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(999,914)	(798,717)
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		44,687	1,044,601

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "დიკა 2010"-ს სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს

.....

ნათია ხვედელიძე

შპს "დიკა 2010"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “დიკა 2010” (შემდგომში „კომპანია“) არის 2010 წლის 30 აპრილს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, გუთნის ქ. N25, ხოლო ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16.

კომპანიის ძირითად საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2 კომპანიას ყავს სამი მეწილე 33%-33%-ის მფლობელი ფიზიკური პირები ანდრო ხვედელიძე და ნათია ხვედელიძე და 34%-ის მფლობელი ფიზიკური პირი ზურაბ მასურაშვილი. კომპანიის დირექტორია ნათია ხვედელიძე.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა“-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (“GEL”).

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2021	2020
ნაღდი ფული სალაროში	69 494	63 483
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	19 245	-
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-
სულ	88 738	63 483

4. სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. 2021 წელს არ მომხდარა მოთხოვნების გაუფასურება.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	75 828	111 007
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	-	(53 042)
სულ	75 828	57 965

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2021	2020
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	244 410	179 788
სულ	244 410	179 788

6. მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ძირითადი საქმიანობისთვის განკუთვნილ ნედლეულსა და მასალას, (სახარჯი მასალა).

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2021	2020
ნედლეული და მასალები	1 389 874	48 732
სხვა მარაგი	-	-
სულ	1 389 874	48 732

7. სხვა მიმდინარე აქტივები/გადასახადები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების.

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს საპენსიო სააგენტოში ზედმეტად გადარიცხულ თანხას.

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ საბუღალტრო პროგრამას, რომელიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით

აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- არამატერიალური აქტივები 3-10 წელი.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	არამატერიალური აქტივები	სულ
ბალანსი 01.01.2021წ.	750	750
დამატება	-	-
გასვლა	-	-
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2021წ.	750	750
ცვეთა		
ბალანსი 01.01.2021წ.	375	375
წლის დარიცხული ამორტიზაცია	75	75
გასვლა	-	-
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2021წ.	450	450
ნარჩენი ღირ-ბა		
01.01.2021წ.	375	375
31.12.2021წ.	300	300

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალებების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით

საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- მანქანა-დანადგარები 3-20 წელი
- ოფისის აღჭურვილობა 3-20 წელი
- საკომუნიკაციო საშუალება 5-15 წელი
- ავტოსატრანსპორტო საშუალებები 5-15 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	საკომუნიკაციო საშუალება	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2020	2,760,672	7,631	3,982	38,300	2,810,585
შემოსვლა/რემონტი					-
გადაფასება					-
გასვლა /ჩამოწერა	(480,234)				(480,234)
31 დეკემბერი 2021	2,280,438	7,631	3,982	38,300	2,330,351
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2020	(1,090,525)	(3,752)	(3,387)	(19,150)	(1,116,814)
პერიოდის ცვეთა	(497,405)	(931)	(678)	(3,830)	(502,844)
გასვლა	100,117				100,117
31 დეკემბერი 2021	(1,487,813)	(4,683)	(4,065)	(22,980)	(1,519,541)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2020	1,670,147	3,879	595	19,150	1,693,771
31 დეკემბერი 2021	792,625	2,948	(83)	15,320	810,810

10. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	575 363	154 096
სულ	575 363	154 096

11. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანიამ მიმდინარე პერიოდში ანარიცხის სახით აღიარა საგადასახადო დავის შედეგად სასამართლო დავით წარმოშობილი გადასახდელი ჯარიმა.

12. ფინანსური ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

2021 წლის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია ექვსი სესხი, რომელიც წარმოადგენს მოკლევადიანს და აღებულია ფინანსური ინსტიტუტიდან და კერძო კომპანიიდან.

სამი ბიზნეს სესხი ლარში წლიური 13%, ხოლო 2 სესხი წლიური 15,5%-ში და აღებულია კომპანიის მიერ საბრუნავი საშუალებების შესაძენად. აღებული სესხისა და პროცენტის კაპიტალიზება არ ხდება, მიდის მოგება-ზარალში საპროცენტო ხარჯის გრაფაში. აღნიშნულ სესხებთან დაკავშირებული პროცენტების დარიცხვა ხდება სხვა ვალდებულებების გრაფაში. 2021 წელს დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 82 422 ლარს, ხოლო 2020 წელს 46 986 ლარს.

13. სხვა ვალდებულებები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2021	2020
წინასწარ მიღებული	928 513	340 343
სულ	929 513	340 343

14. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

2021 წელს კომპანიის მიერ არ მომხდარა გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდების გამოცხადება და განაწილება.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 01 იანვარი 2021წ.	-	1 044 601	1 044 601
შენატანი	-	-	-
გაცემა	-	-	-

დივიდენდები	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		(999 914)	(999 914)
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	-	44 687	44 687

15. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

16. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

17. საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „იჯარის ხარჯის“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით. წინამდებარე უწყისში წარმოდგენილი იჯარის ხარჯი შეეხება ოფისის ქირას.

18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2020	2020
ექსპერტიზის ხარჯი	30 514	81 272
სამივლინებო ხარჯი		-

საკომუნიკაციო ხარჯი	6 425	6 040
საბანკო ხარჯი	10 819	7 082
კომუნალური ხარჯი	13 894	14 005
სხვა	274 282	178 210
სულ	335 934	286 608

19. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდება ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.